## საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 24 თებერვალი, 2020 წელი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-10/25**

ბსუ-ს სარგებლობაში არსებული (მესაკუთრე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. №12 -ში მდებარე ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის სარდაფში არსებული ბსუ-ს სტამბის იჯარით სარგებლობისათვის გასაცემად საიჯარო ქირისა და პირობებიანი ელექტრონული აუქციონის პირობების განსაზღვრისა და გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 22 იანვრის №07-01/62 გადაწყვეტილების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 5 მაისის №103 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 04 თებერვლის № MES 1 20 00122294 წერილის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის 12 თებერვლის № 01-0110/659 წერილის, ლიცენზირებული აუდიტორის შპს ,,ლაზიკა-აუდიტი"-ს მიერ 2019 წლის 23 დეკემბრის №19/454 აუდიტორული დასკვნის (იჯარის თანხის განმსაზღვრელი) და უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 24.02.2020წ. MES 6 20 00232413 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება, ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ.12 (ს.კ. 05.24.05.189 მდებარე ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის სარდაფში არსებული 185 კვ.მ. ფართი და ამ ფართში განთავსებული ბსუ-ს სტამბის ინფრასტრუქტურა (მოქმედი სტამბა) - მოწყობილობა-

დანადგარები და ავეჯი (დანართი 1), შემდეგში „იჯარის ობიექტი“, გაიცეს იჯარით, ერთ წლის ვადით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, შემდეგი პირობებით:

ა) ობიექტი იჯარით გაიცემა ერთი წლის ვადით;

ბ) ბსუ უზრუნველყოფს სტამბაში არსებული პოლიგრაფიული მოწყობილობა-დანადგარების მოიჯარისათვის გამართულ მდგომარეობაში გადაცემას, ხოლო მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს იჯარით აღებული ობიექტის პროფილის (სასტამბო მომსახურება) შენარჩუნება;

გ) მოიჯარე ვალდებულია მოუაროს და მიმდინარე რემონტი ჩაუტაროს იჯარით აღებულ ქონებას და იქონიოს იგი გამართულ მდგომარეობაში, დაზიანების შემთხვევაში უნდა აუნაზღაუროს მეიჯარეს საიჯარო ქონების გაუარესებით გამოწვეული ზარალი, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ეს გაუარესება მისი ბრალი არ არის;

დ) მოიჯარე ვალდებულია იჯარით აღებულ ფართზე გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, რისთვისაც უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგიის და წყლის მრიცხველის განმხოლოება (ცალკე აბონენტად ან ქვეაბონენტად დარეგისტრირება) საკუთარი ხარჯებით და უზრუნველყოს ეკოლოგიური, სანიტარულ–ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების და პირობების დაცვა;

ე) წლიური საიჯარო ქირა გადახდილი უნდა იქნეს ყოველთვიურად, თანაბარწილად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა;

ვ) მოიჯარე ვალდებულია დაფაროს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ზ) მოიჯარეს შეტანილი ბე ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობაში, საბოლოო ანგარიშსწორებისას;

თ) აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმის გარეშე ვადამდე შეწყვიტოს საიჯარო ხელშეკრულება;

ი) მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს მეიჯარის მოთხოვნის შემთხვევაში, მეიჯარის მასალებით, უსასყიდლო სასტამბო მომსახურების გაწევა (წიგნების, ბროშურებისა, ბანერების და ა. შ. მეიჯარისათვის უფასოდ დამზადება, რაც იჯარის პერიოდში, A5 ფორმატზე გაანგარიშებით შეადგენს დაახლოებით 1 000 000 (ერთი მილიონი) გვერდს და მეიჯარის მხრიდან სრულად იქნება უზრუნველყოფილი საბეჭდი ფურცლით, ყდით და წებოთი, ამასთან, უსასყიდლოდ მიეწოდება 30 კგ ოფსეტური საღებავი (4 ფერი) და 23 ქილა (1 კგ-იანი) რიზოგრაფის შავი საღებავი, ასევე 45 კვადრატული მეტრი ბანერის ბეჭდვა, რაც სრულად უზრუნველყოფილი იქნება ბანერის მასალით და კარტრიჯით);

კ) მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს ბსუ-ს და შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარია“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით გაზეთის „აჭარა და ადჟარია“ ბეჭდვა

A2 ფორმატის საგაზეთო ქაღალდზე (2020 წლის 02 მარტიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში უნდა დაიბეჭდოს 127 საგაზეთო ნომერი, ტირაჟი 500 ეგზემპლარი, მათ შორის: შავ-თეთრი საგაზეთო გვერდი 6 და ფერადი საგაზეთო გვერდი 2 – 84 საგაზეთო ნომერი, ერთი საგაზეთო ნომრის ფასი შეადგენს 0,36 ლარს და შავ-თეთრი საგაზეთო გვერდი 10 და ფერადი საგაზეთო გვერდი 2 - 43 საგაზეთო ნომერი, ერთი საგაზეთო ნომრის ფასი შეადგენს 0,4776 ლარს. გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ (სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი)).

2. წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნული ფართის 185 კვ.მ. და ამ ფართში განთავსებული სტამბის ინფრასტრუქტურის: მოწყობილობა-დანადგარების და ავეჯის საწყისი წლიური საიჯარო ქირა დღგ–ის ჩათვლით, განისაზღვროს 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე განისაზღვროს 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო ბიჯი - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
4. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2020 წლის 25 თებერვალს 15 საათზე და დასრულდეს 2020 წლის 2 მარტს 15 საათზე.
5. დაევალოს უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს უზრუნველყოს აუქციონის კანონით დადგენილი ფორმით გამოცხადება ვებგვერდზე - www.eauction.ge.
6. დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განცხადების უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნება.
7. დაევალოს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს (წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნული ქონების გადაცემის ნაწილში), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს (ბსუ-ს სტამბის პერსონალის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის ნაწილში) და იურიდიული დეპარტამენტს (გამომცემლობიდან სტამბის შესახებ ჩანაწერის ამოღების ნაწილში), ამ სტრუქტურული ერთეულების დებულებებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება.
8. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, გამომცემლობას, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სტამბის პერსონალს.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე მითაიშვილი

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2020 წლის 24 თებერვლის
№ 01-10/25 ბრძანების დანართი 1

| | | | |
|---|---|---|---|
| საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი"-ის სტამბაში არსებული იჯარით გასაცემი მოძრავი ქონების ნუსხა | | | |
| № | ინვენტ. დასახელება | მოკლე აღწერილობა | რაოდ-ბა |
| 1 | ნოუთბუქი | acer | 5 |
| 2 | რიზოგრაფი | A2 ფორმატი | 1 |
| 3 | რიზოგრაფი RZ570EP | A3 ფორმატი | 1 |
| 4 | რიზოგრაფის ბარაბანი | RZ A3 | 2 |
| 5 | რიზოგრაფის ბარაბანი | risograf RZ570EP | 1 |
| 6 | პრინტერი ციფრული ბეჭდვის | XANTE inpressia | 1 |
| 7 | UV პრინტერი | roland versaUVlef-12 | 1 |
| 8 | პლოტერი | roland versacamm640 | 1 |
| 9 | ლამინატორი | royal sovering | 1 |
| 10 | წიგნის მაგარ ყდაში ჩასასმელი დანაგარი | schmedt | 1 |
| 11 | A3 ფორმატის ლამინატორი | deli 3892 | 1 |
| 12 | თერმო ასაკინძი დანაგარი | bourg binder 3002 | 1 |
| 13 | ქაღალდის საჭრელი ხელის | ideal 3905 | 1 |
| 14 | ცხელი საბეჭდი წნეხი | | 1 |
| 15 | წიგნის ძაფ-საკერი მანქანა | uh binder | 1 |
| 16 | პოლიგრაფიული მავთულ საკერი დანადგარი | | 1 |
| 17 | ქაღალდის საჭრელი გილიოტინა | wohlenberg | 1 |
| 18 | ფორმების გასამჟღავნებელი | | 1 |
| 19 | ფორმების გადასაღები დანადგარი | screen CTP | 1 |
| 20 | სტანდარტ. პერსონ. კომპიუ ტერი კომპლექტ. | | 1 |
| 21 | ოფსეტური ბეჭდვის დანადგარი | ryobi 662h | 1 |
| 22 | ქაღალდის საჭრელი გილიოტინასათვის დანა | | 1 |
| 23 | მტვერსასრუტი | | 1 |
| 24 | მაგიდა | სამუშაო, რკინის | 23 |
| 25 | მაგიდა | ლამინატის | 9 |
| 26 | მაგიდა | კომპიუტერის | 5 |
| 27 | მაგიდა | აუდიტორიის,რკინის სადგამით | 1 |
| 28 | სკამი | სტუდენტის | 11 |
| | სულ | | 77 |